საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1-64

ქ.თბილისი

22/04/2015

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2015 წლის 23 მარტის №1-41 ბრძანებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის” მე-10 მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში - სწავლების ცენტრი) დირექტორის 2015 წლის 23 მარტის №1-41 ბრძანებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თინათინ ბოლქვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო;
ბ) ქეთევან მაისურაძე - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
გ) ნინო ბოლქვაძე - აშშ-ის განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს ასოციაცია (UNAG);
დ) ანა ფაშალიშვილი - გაეროს ქალთა ორგანიზაცია;
ე) ირაკლი ქობალია - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD);
ვ) შორენა ღარიბაშვილი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS);
ზ) ნინო ჯაფიაშვილი - ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა;
თ) თეონა ყუფუნია - საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);
ი) ნინო დოლიძე - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI);

კ) ნინო გოგოლაძე - ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარი (OSCE HCNM).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,თ“, ,,ი“ და ,,კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები კომისიის საქმიანობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესით“ კომისიისთვის განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნათია ზაალიშვილი

დირექტორი